საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

ნუგზარ სალიას

მოსამართლეობის კანდიდატის -------------------------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	16	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	78	100

სახელი, გვარი: [signature] ზურაბ ძაბა

თარიღი : 01.12.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბადრი შონია

„ 01 " დეკემბერი 2021 წელი ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ნუგზარ სალიას შეფასების დასაბუთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატ **ნუგზარ სალიას** შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კერძოდ, „კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით/36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს".

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ **ნუგზარ სალიას** შეფასებისას დავეყრდენი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მასზე მოძიებულ ინფორმაციას, მის მიერ წარმოდგენილ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს, აგრეთვე კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და ანალიზს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სამოსამართლო გამოცდილების არმქონეა, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად ფასდება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
- პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ფინანსური ვალდებულება;

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ, **ნუგზარ სალიას** სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. რეკომენდატორების მითითებით კანდიდატი გამოირჩევა პიროვნული კეთილსინდისიერებითა და პროფესიული სინდისით. იგი არის წესიერი პიროვნება.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ნუგზარ სალია** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

გასაუბრების პროცესიდან ჩანს, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებს ჯეროვნად. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის მტკიცე, ზეგავლენის მიმართ მედეგი, შეუვალი, პრინციპული, სამართლიანი, დამოუკიდებელი პიროვნება.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ნუგზარ სალია** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

გასაუბრების პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ, როგორც თავდაჭერილ, თავდაჯერებულ პიროვნებად. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ იგი არის შრომისმოყვარე, ლოიალური და გააჩნია განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ **ნუგზარ სალიას** მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი არ უფიქსირდება.
მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ნუგზარ სალია** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატი სარგებლობს დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში ისე იურიდიულ წრეებში. რეკომემდატორები აღნიშნავენ რომ კანდიდატს გააჩნია ავტორიტეტი იურიდიულ და სამოქალაქო საზოგადოებაში. არის ღირსეული რეპუტაციის მქონე.
კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის საპროკურორო საქმიანობასთან დაკავშირებით. მედია საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია ნუგზარ სალიას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში კანდიდატის მონაწილეობის შესახებ.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი **ნუგზარ სალია** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

5. ფინანსური ვალდებულება:

კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის უძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე.
კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.
ამდენად მიმაჩნია, რომ კანდიდატის მოსამართლედ განწესების შემთხვევაში, მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების რაიმე საფუძველი არ იარსებებს.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნუგზარ სალია სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი ***ნუგზარ სალია*** *სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.*

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- სამართლის ნორმების ცოდნა;
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- პროფესიული თვისებები;
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- პროფესიული აქტივობა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

ნუგზარ სალიამ გასაუბრებისას მეტ-ნაკლებად გამოავლინა სამართლის ნორმების ცოდნა. თუმცა გარკვეულ სამართლებრივ შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები არ იყო დასაბუთებული, ამომწურავი. პასუხებში ასევე დაფიქსირდა რამდენიმე უზუსტობა. კანდიდატმა მეტ-ნაკლებად იმსჯელა სისხლის სამართლის პროცესში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტზე, ასევე ისაუბრა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საკითხზე. კანდიდატმა ზედაპირულად განმარტა ხულიგნობის დეფინიცია და ასევე ამ მიმართულებით არ იცნობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. მან დამაჯერებლად ვერ იმსჯელა მართლწინააღმდეგობის, ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე. ასევე არასრულფასოვნად იმსჯელა ადამიანის უფლებათა ჭრილში პატივისა და ღირსების საკითხზე. კანდიდატმა ვერ გაიხსენა ფარული აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეებზე ევროპული სასამართლოს მიერ გამოყენებული ტესტის თაობაზე. კანდიდატმა ვერ განმარტა სისხლის სამართლის პროცესში სამოქალაქოსამართლებრივი შეთანხმების მნიშვნელობა, ასევე ვერ იმსჯელა სასამართლოს მიერ გამართლებული პირის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების თაობაზე.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნუგზარ სალია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე არ იყო დამაჯერებელი და სრულყოფილი.

კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის 34 წლიანი გამოცდილება. ამჟამად კანდიდატი არის ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე. ასევე იგი ახორციელებს საადვოკატო უფლებამოსილებას.

ამდენად მივიჩნევ, რომ ნუგზარ სალია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 18 ქულით.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

ნუგზარ სალია გასაუბრებისას აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. ნუგზარ სალიამ სამართლებრივი ნაშრომის სახით წარმოადგინა წერილობითი მოსაზრებები ნარკოპოლიტიკის, დაზარალებულის, ავტოსატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევით ჩადენილი დანაშაულისა და ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, თუმცა სტრუქტურულად იგი არ პასუხობს აკადემიური წერის სტანდარტებს. რეკომენდატორები კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს დადებითად აფასებენ.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნუგზარ სალია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 16 ქულით.

4. პროფესიული თვისებები

რეკომენდატორები კანდიდატის პროფესიულ თვისებებს აფასებენ დადებითად, რომ იგი არის თავისი საქმის პროფესიონალი, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და დამაჯერებელია. იგი ასევე აქტიურ საადვოკატო საქმიანობას ეწევა, ასევე უმუშავია მენეჯერულ თანამდებობებზე.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნუგზარ სალია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლით უნდა შეფასდეს 14 ქულით.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (05.11.2005)

კანდიდატს ასევე ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა (30.11.2006 წ.)
კანდიდატის ინფორმაციით მას მინიჭებული აქვს იუსტიციის უფროსი მრჩევლის წოდება, მიღებული აქვს ჯილდოები და მედლები, ვადამდელი წოდება საქართველოს გენერალური და მთავარი პროკურორისგან.
გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ და ცდილობს პროფესიულ განვითარებას.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნუგზარ სალია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლით უნდა შეფასდეს 8 ქულით.

6. პროფესიული აქტივობა

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივ ღონისძიებებში, რომლებიც შეეხებოდა შემდეგ თემებს: სისხლის სამართლებრივი სისტემის კურსი, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გადამზადების კურსი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში, არასრულწლოვანთა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური კურსი, საბაზისო ადვოკატირების უნარების ტრენინგი და სხვ.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნუგზარ სალია ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ,,სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლით უნდა შეფასდეს 4 ქულით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ნუგზარ სალია კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 78 ქულა.

ხელმოწერა: **ბადრი შონია**